

ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია 37 02 06

(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1.1.1 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:

კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა 37 02 06

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

ათასი ლარი

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
37 02	პროგრამა					
37 02 06	კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა	3 630	3 630	1 964	54,11	231

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას 2016 წლის 2 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული აქვს სხვადასხვა სახის ლაბორატორიული კვლევები, შემოსულია დაახლოებით - 131 750 ნიმუში, მათ შორის ინფექციურ დაავადებებზე (ბრუცელოზი, მრპ-ს პათ.მასალა, ტყავისა და ნიადაგის გამოკვლევა ჯილეხზე, ცოფი, სალმონელოზი, პასტერელოზი, ბრადზოტი, ემკარი და სხვა).

ჩატარებულია სხვადასხვა საკვები პროდუქტების - მრპ-სა და ღორის ტანხორცის, სხვადასხვა მზა პროდუქტებისა და ნახევარფაბრიკატების, რძისა და რძის პროდუქტების მიკრობიოლოგიური გამოკვლევა. კვლევები ჩატარდა- სალმონელა, ლისტერია მონოციტოგენეზი, ცისტოცერკოზი, ტრიქინელოზი, ასევე ფიზიკო-ქიმიურად გამოკვლეულია ცხოველთა საკვები (კომბინირებული საკვები, სიმინდი და სხვა), (ცილები, ცხიმები, უჯრედანა და სხვა შემცველობაზე), წყლის ნიმუშები სასმელად ვარგისიანობაზე და სხვა.

გამოკვლეულ ნიმუშებში გამოვლინდა შემდეგი დაავადებები: ცოფი - 37, ბრუცელოზი- 2523, ცხოველთა პარაზიტული დაავადება - 46, პასტერელოზი - 17, სალმონელოზი - 4, მასტიტი - 199, ემკარი - 4, ბრადზოტი - 13, ენტეროტოქსემია - 2, ჯილეხი - 9, ნიუკასლი - 1, თურქული 101, წრპ-ს ჭირისანტისხეულები -110, პირობით პათ. მიკროფლორა - 1.

საკვები პროდუქტების (მზა პროდუქტი, ნახევარფაბრიკატი, ხორცპროდუქტი, რძე, რძის პროდუქტი, წყალი და სხვა) მიკრობიოლოგიური კვლევებისას გმოვლინდა: სალმონელა -7, ლისტერია მონოციტოგენეზი -3, ნჩგბ -137, მაფანმრ - 55, შ. ურეუს -4, პროტეუსი -2, E.COLI -5.

საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი თამარ მაჭარაძე